

კვლევების სტანდარტი

ინსტიტუტის მიერ მიღებული კვლევის დეფინიციაა:

- *”ორგანიზებული სწავლა: საკითხის მეთოდური კვლევა იმ მიზნით, რათა აღმოჩენილ იქნას ფაქტები, გამოვლენილ იქნას ახალი, ან გადახედილ იქნას უკვე არსებული თეორია; შეიქმნას სამოქმედო გეგმა აღმოჩენილ ფაქტებზე დაყრდნობით” (ენკარტას ენციკლოპედია)*

მზადება კვლევისათვის:

- აუცილებელია ნაშრომის პროსპექტუსის მომზადება და მისი დამტკიცება კვლევის ხელმძღვანელის მიერ კვლევის ძირითადი ეტაპის დაწყებამდე; როგორც წესი, კარგი პროსპექტუსი წინასწარი, მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგია;
- ნაშრომის თემატიკა უნდა იყოს აქტუალური და საინტერესო როგორც სამეცნიერო, აგრეთვე პრაქტიკული თვალსაზრისით;
- კვლევის ავტორს კარგად გააზრებული უნდა ჰქონდეს კვლევის მთავარი საკითხის მნიშვნელობა და აქტუალობა, უნდა შეეძლოს მის მიერ შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება;
- ავტორს გააზრებული უნდა ჰქონდეს ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც იგი შეეცდება მოცემული პრობლემის ან საკითხის ანალიზს;
- კვლევის ავტორს უნდა გააჩნდეს ლოგიკურად დასაბუთებული წინასწარი შეხედულება/ჰიპოთეზა კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ;
- ავტორმა უნდა იცოდეს, თუ რა ტიპის რესურსები (ლიტერატურა, სტატისტიკა და სხვა) სჭირდება აღნიშნული კვლევის განხორციელებისათვის და სად შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება;
- სასურველია ავტორებმა გამოავლინონ შემოქმედებითობა კვლევის საკითხისა და მეთოდის შერჩევისას. ინსტიტუტი მხარს უჭერს ნოვატორულ მიდგომას პრობლემების გადაჭრისადმი.

კვლევითი ნაშრომის საერთო სტანდარტები:

- კვლევითი ნაშრომი უნდა იძლეოდეს საწყის ინფორმაციას კვლევის მიზნის, მეთოდისა და მიღებული შედეგების შესახებ;
- კვლევითი ნაშრომის ცენტრალური ნაწილია ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობა/ანალიზი, რომელიც ეფუძნება ნაშრომში გამოყენებულ წყაროებს;

- კვლევით ნაშრომში გამოყენებული უნდა იქნეს სანდო სამეცნიერო წყაროები (წიგნი, სამეცნიერო ჟურნალი, სტატისტიკა);
- გამოყენებული წყაროების ანალიზი უნდა განხორციელდეს ნათლად განმარტებული, ადექვატური მეთოდის შესაბამისად;
- როდესაც მიზანშეწონილი და შესაძლებელია, ნაშრომი უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმ ძირითადი დაშვებების და/ან გამოწვევების შესახებ, რომელთაც ავტორი აკეთებს კვლევის მსვლელობისას;
- კვლევის შედეგები უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში გამოყენებულ რესურსებსა და მეთოდებთან; კვლევის შედეგები და დასკვნები უნდა იყოს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის დამოუკიდებელი მსჯელობისა და ანალიზის შედეგი.

კვლევის მთავარი კომპონენტებია:

- პრობლემა ან საკითხი, რომელიც აქტუალური და საინტერესოა სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით;
- მეთოდი, როგორც აზრობრივი, გონებრივი და ანალიტიკური პროცესი, რომელიც გვხმარება ფაქტების განხილვაში, ინტერპრეტაციაში ან მათ აღმოჩენაში;
- მოსალოდნელი შედეგები: მკვლევარის ან მკვლევართა ჯგუფის მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა დასკვნები/ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ გამოყენებული რესურსებისა და კვლევის მეთოდის შედეგად;
- ფაქტები: ობიექტური რეალობა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია, როგორც კვლევის მიზნის, აგრეთვე მეთოდის შერჩევა-გამოყენების დროს;
- რესურსები: სამეცნიერო რესურსი, ინფორმაცია, რომელიც გვჭირდება პრობლემის ანალიზისა და კვლევის მეთოდის რეალიზაციაში;
- დამოუკიდებელი ანალიზი და დასკვნები: ფაქტების, მოვლენების და კვლევის შედეგების ავტორისეული ინტერპრეტაცია.